საქართველოს საინვესტიციო ლანდშაფტი:

ჩინური და დასავლური ინვესტიციების შედარებითი ანალიზი

(2018–2023 წწ)

სამოქალაქო იდეა

თბილისი

2024

2023 წლის 31 ივლისს, საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება პოლიტიკური, კულტურული და საერთაშორისო თანამშრომლობის გარდა, ითვალისწინებს ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერებას. სწორედ ეკონომიკური ფაქტორია ის მთავარი ასპექტი, რისი მეშვეობითაც ხელისუფლების წარმომადგენლები ჩინეთთან ურთიერთობებს საზოგადოებას მორიგ „წარმატებულ ნაბიჯად" წარუდგენენ. საგულისხმოა, რომ საქართველოს ყოფილმა პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიისთვის (CCTV) მიცემულ ინტერვიუშიც სწორედ ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების „მზარდ" ტენდენციაზე საუბრობენ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებიც. საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩინური კომპანიების მზარდი როლი და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტში ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის გამარჯვებულად გამოცხადებაც ხელს უწყობს არასწორი აღქმებისა და ყალბი წარმოდგენების ფორმირებას, თითქოს ჩინური ინვესტიციები ყოველდღიურად იზრდება და დომინანტ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში.

აღსანიშნავია, რომ საელჩოს მრჩეველი, ჭაო ჩუანი სულ ცოტა ხნის წინ Business Media-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ჩინეთისთვის საქართველო პერსპექტიული საინვესტიციო გარემოა და სწორედ ამიტომ, ჩუანის თანახმად, სახალხო რესპუბლიკა საქართველოს უდიდესი ინვესტორია და მისი ინვესტიციები ჯამში 800 მლნ აშშ დოლარს აღემატება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთიდან

მიუხედავად საქართველოს მთავრობისა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლების მტკიცებისა, ოფიციალური მონაცემები სრულიად სხვა რეალობას აჩვენებს. წინამდებარე ნაშრომში საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ, მათსავე ვებგვერდზე, გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკით ვიხელმძღვანელეთ. შესაბამისად, წარმოგიდგენთ მონაცემებს 2010-2024 (პირველი კვარტლის) წლების შესახებ, რომელიც ადასტურებს რომ თითქმის

14 წლის მანძილზე საქართველოში **ჩინური პირდაპირი ინვესტიციები** საერთო **ჯამში 700 000 მლნ აშშ დოლარსაც** კი ვერ აღწევს.

წელი	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთიდან
2010	-7 882,0
2011	30 382,7
2012	70 156,8
2013	101 129,7
2014	220 099,2
2015	66 947,6
2016	25 480,8
2017	19 364,4
2018	75 991,1
2019	44 750,0
2020	-35 132,0
2021	-27 849,3
2022	43 627,3
2023*	47 330,6
I კვ. 2024*	13 855,5
საერთო ჯამში	688 252,3

2015-2022 წლების მონაცემების თანახმად, ჩინეთი საქართველოს უდიდესი ინვესტორების **ათეულშიც კი არ ყოფილა** და გაცილებით უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა არა მხოლოდ მასზე დიდი ეკონომიკის მქონე ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, არამედ, მაგალითად, ცალკე აღებული ნიდერლანდები, ესპანეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა.



2010-2024 წლის (პირველი კვარტლის) მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ჩინეთიდან პირდაპირი ინვესტიციების ნაკადმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია 2014 წელს, ხოლო მას შემდეგ, აღნიშნულმა ტენდენციამ კვლავ კლება დაიწყო. შედეგად, 2020 წელს, ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად შემცირდა. შესაბამისად, საქართველო-ჩინეთს შორის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების დინამიკა, რომელიც სწორედ 2015-2016 წლებიდან ინტენსიურ ხასიათს ატარებს, საქართველოს ეკონომიკაზე საგრძნობ გავლენას არ ახდენს და მხოლოდ ყოფილი პრემიერისთვის თანამდებობის დატოვების შემდეგ, ჩინურ კომპანიაში, მსუყე გასამრჯელოს მიღების წყაროდ იქცა.



აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩინეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დრამატული კლება კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეულ გლობალურ სტაგნაციასა და რეცესიასაც უკავშირდება. თუმცაღა, 2020-2021 წლების საინვესტიციო სურათი ადასტურებს, რომ პანდემიის მიუხედავად, საქართველოს დასავლელი პარტნიორები კვლავაც აგრძელებდნენ ქვეყანაში პირდაპირ ინვესტიციებს. მეორე მხრივ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა პრაქტიკულად გაქრა საქართველოს საინვესტიციო რუკიდან.



აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუკი 2018-2024 (პირველი კვარტლის) წლების მონაცემებს გავაანალიზებთ ნათლად დავინახავთ, რომ პანდემიის დასრულების შემდეგაც, საქართველოში ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არათუ არ გაზრდილა დრამატულად, არამედ პანდემიამდელ პერიოდსაც კი ვერ გაუტოლდა.



2018 წელს, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 75 991,1 მლნ აშშ დოლარს, 2023 წელს კი, მხოლოდ 47 330, 6 მლნ აშშ დოლარს.



უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად მიზანშეწონილია ჩინეთისა და საქართველოს დასავლელი პარტნიორების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის შედარება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დასავლეთიდან

? საინტერესოა, შეიმჩნევა თუ არა მსგავსი კლების ტენდენცია საქართველოს დასავლელი პარტნიორების ინვესტიციებთან მიმართებით.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის, აშშ-ს შემთხვევაში პანდემიამ ბუნებრივია გავლენა მოახდინა ინვესტიციებზე, და 2021 წელს, ამერიკული ინვესტიციები 18 917,6 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. თუმცა, განსხვავებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან, რომელიც უარყოფით ველზე გადავიდა - 27 849,3 მლნ აშშ დოლარით, აშშ კვლავაც პოზიტიურ ნიშნულს ინარჩუნებდა. **შესაბამისად, აშშ-დან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირების ფონზეც კი, ვაშინგტონის ინვესტიციები პეკინის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.**



ოფიციალური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ პანდემიამდეც და პანდემიის შემდგომ პერიოდშიც, 2018-2023 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით, აშშ ჩინეთს მნიშვნელოვნად უსწრებდა.



გარდა ამისა, თუკი ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პანდემიამდე პერიოდთან შედარებით, პანდემიის შემდგომ წლებში უფრო ნაკლებია, აშშ-ს შემთხვევაში, განსხვავებული ვითარება გვაქვს. მაშინ, როდესაც 2018 წელს, საქართველოში აშშ-ს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 104 964,1 მლნ აშშ დოლარს, 2023 წელს, ანალოგიური მაჩვენებელი უკვე 153 548,9 მლნ აშშ დოლარს აღწევდა, ანუ ზრდა თითქმის 50 მილიონს დოლარს შეადგენს.



კოვიდის შემდგომ პერიოდში, აშშ-სა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები (საინვესტიციო თვალსაზრისით) მზარდი ტემპით ხასიათდება. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს სხვა დასავლელ პარტნიორებზეც.

2020-2021 წლების მონაცემებით, პანდემიის მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით, გაერთიანებული სამეფო ერთ ერთი ყველაზე დიდი ინვესტორი იყო.



2018 წელს, საქართველოში გაერთიანებული სამეფოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 183 310,0 მლნ აშშ დოლარს, ხოლო 2023 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის გაორმაგდა და 391 968,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ქვემოთ მოცემული დიაგრამაც ადასტურებს, რომ 2018-2023 წლებში გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით წინ მნიშვნელოვნად უსწრებდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.



ანალოგიურად, პანდემიის მიუხედავად, ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა ნიდერ-ლანდების შემთხვევაშიც. 2018 წელს, საქართველოში ნიდერლანდების პირ-დაპირი უცხოური ინვესტიციები 212 637,9 მლნ აშშ დოლარს აღწევდა, ხოლო პანდემიის შემდგომ, 2023 წელს, 360 501,3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. შესაბამისად, 2018-2023 წლებში ნიდერლანდები გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-სთან ერთად, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორი იყო. ქვემოთ მოცემული ცხრილი ცხადყოფს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით ჩინეთსა და ნიდერლანდებს შორის არსებულ მნიშვნელოვან სხვაობას.



გადავწყვიტეთ, ცალკე შემოგვეთავაზებინა რამდენიმე, შედარებით მცირე ეკონომიკის ქვეყნის მაგალითიც, იმის სადემონსტრაციოდ თუ რამდენად აცდენილია ერთმანეთს რეალობა და ხელისუფლების დეზინფორმაციული რიტორიკა.

ევროკავშირის წევრი ერთი ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფოს, მალტას შემთხვევაშიც კი, მნიშვნელოვანი საინვესტიციო ზრდა გვაქვს პანდემიის შემდგომ პერიოდში. 2018 წელს, საქართველოში მალტას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 24 072,9 მლნ აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც 2023 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და მიაღწია 80 021,8 მლნ აშშ დოლარს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მალტა წარმოადგენს მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს. შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესო და ნიშანდობლივია კონტრასტი, რომელსაც საქართველოში მალტას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქმნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ ეკონომიკასთან შედარებით.



რაც შეეხება ჩეხეთს, საქართველოში კიდევ ერთ მსხვილ ინვესტორს, 2018 წლისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩეხეთის რესპუბლიკიდან შეადგენდა 77 696,0 მლნ აშშ დოლარს. პანდემიის დროს, მართალია, ინვესტიციები კვლავაც ხორციელდებოდა, მაგრამ შესამჩნევი იყო მნიშვნელოვანი კლება. თუმცა, პანდემიის დასრულებულად გამოცხადებისთანავე, უკვე 2022 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩეხეთიდან 84 473,3 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და კოვიდამდელ მაჩვენებელს გაასწრო.



გარდა ამისა, 2024 წლის პირველი კვარტლის მონაცემების თანახმად, საქართველოში ჩეხეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უკვე შეადგენს 41 502,4 მლნ აშშ დოლარს.

აქვე, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ სტარატეგიული პარტნიორობის დაწყებიდან ერთი წლის თავზე, კვარტალური შეფასების თანახმად, ჩინეთიდან უცხოური ინვესტიციები საქართველოს რიგი დასავლელი პარტნიორების მაჩვენებელს კვლავაც ჩამორჩება და ჩამოთვლილთაგან მხოლოდ მალტას უსწრებს მცირედით.



დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018-2023 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მიუხედავად სახელისუფლებო პროპაგანდის მტკიცებისა, ნამდვილად არ არის საქართველოში არათუ მთავარი, არამედ მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოთამაშეც კი.

მისი წილი საქართველოში განხორციელებულ საინვესტიციო კალათაში ძალიან მცირეა და 2023 წელს, სულ რაღაც 2.97 პროცენტს შეადგენს. (1,594,746.9 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციებიდან ჩინეთზე მოდის მხოლოდ 47,330.6 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია).



უფრო მეტიც, წლების განმავლობაში იგი უმსხვილეს ინვესტორ ქვეყანათა ათეულშიც კი ვერ ხვდებოდა, ხოლო პანდემიის პერიოდში ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან განსხვავებით, ნაცვლად ქართულ ეკონომიკაში ფულის ჩადებისა, ინვესტიციები გაიტანა.

მიუხედავად საელჩოს მრჩევლის, ჭაო ჩუანის მტკიცებისა, ჩინეთი საქართველოში საინვესტიციო ჩართულობის კუთხით დასავლეთის ძალიან ბევრ ქვეყანას ჩამორჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით, გაერთიანებული სამეფოს და აშშ-ს წამყვანი პოზიცია შეიძლება ახსნან ამ ქვეყნების დიდი ეკონომიკით, თუმცა მალტას და ჩეხეთის შემთხვევები ცხადყოფს, რომ შედარებით მცირე ეკონომიკებიც კი, საქართველოში უფრო მაღალი ეკონომიკური აქტიურობით გამოირჩევიან, ვიდრე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.